ქვების სუნი და გემო

გაჩნდებოდა ყინულის ლოლოები, დავუწყებდით წუწვნას, ამტკივდებოდა ყელი, მომცემდა მაღალ სიცხეს, დედას ცა ძირს ჩამოჰქონდა ჩემი წყევლით, ბებია კი წაფრატუნდებოდა თოვლში, ქარბუქში, ვენახებისკენ, მოიტანდა ჯერაც ისევ მწვანე ღოლოშმაგას ფოთლებს, _ ჩვენს საკადებელთან ვიპოვნეო, თოვლქვეშო, _ დატყეპდა, დააბრტყელებდა ხელისგულებზე, გაამწკრივებდა ვიწროდ გაკეცილ თავსახვევზე, ციმციმ შემომადებდა ყელზე; შემიხვევდა და მეორე დღეს აღარც ყელი მტკიოდა, აღარც სიცხე მქონდა. თუ მაინც გამიგრძელდებოდა სიცხეები, მაშინ ბებია ვედრებით აღაპყრობდა ხელებს მაღლა, შემახვეწებდა წმინდა მარინეს, _ წმინდაო მარინევ, შენი კეთილი გულისა და კალთის ჭირიმე, შენ მოხედე ჩემს ბიჭს, კარგად მიმყოფე და საკუთარი ფეხით მოგგვრის წითელ მამალს, საკუთარ სალოცავში დაგიკლავთ, მეც სულ ფეხშიშველი გეახლებიო! წმინდა მარინეს კეთილ გადმოხედვას წინ ვერაფერი უდგებოდა, მალე კარგად ვხდებოდი: გაზაფხულდებოდა, დათბებოდა, ამწვანდებოდა ველ-მინდვრები და ერთ დღეს დაიჭერდა ბებია დიდ წითელ მამალს, გაუკრავდა ფეხებს, მომცემდა მე, წავიყოლებდით მეზობლის დიდ ბიჭს _ გოგიას, წავიღებდით ხელადით ღვინოს, კალათით ქვაბს, პურებს, ჭიქებს და წავიდოდით შეთქმულის ასასრულებლად. ბებია, როგორც შეფიცული ჰქონდა, ფეხშიშველი მოდიოდა...

წმინდა მარინეს ეკლესია ოთხ კილომეტრზე იქნება ჩვენგან, რა ეკლესიაა _ სამი კედლის ნანგრევიღა დგას ლამაზად შემაღლებულ კორტოხზე, ტყიანი მთის ძირას. კედლების ირგვლივ და ზედ კედლებზედაც გაჯაგული რცხილები და კუნლებია ამოსული. ძველად კორტოხს თითქმის წვერამდე ხნავდნენ, მშვენიერი ჯეჯილი ბიბინებდა ხოლმე. უმეტესობამ არც კი იცოდა, ვინ იყო წმინდა მარინე, სად მოღვაწეობდა, რა წმინდა საქმენი ჩაედინა, მაგრამ ყველა სიხარულით მიდიოდა ამ ნანგრევისაკენ. დაკლავდნენ ქათამს ან ცხვარს, თავ-ფეხს ნანგრევის შესასვლელთან დატოვებდნენ, ჩავიდოდნენ ცოტა ქვემოთ, დიდ იფნებში, იქ წაიქეიფებდნენ და დიდად კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ შინ.

ვივლიდით ჩვენც, დამეღლებოდა ხელები, ხან გოგია გამომართმევდა მამალს, ხან ბებია, გავიდოდით ვენახებიდან და თითქმის მისულებიც ვიყავით, ათიოდე გუთნეულის გაშლა მანძილიღა უნდა აგვევლო, თანაც სულ ჯეჯილებში, მე ის ჯეჯილები ძალიან მიყვარდა. მოდიოდა ქორფა ქინძის გამაბრუებელი სუნი, დაგვკრიახებდნენ ცაში ასული ტოროლები, მოუხნავ ადგილებში, ძეძვებზე, ჭყრიალებდნენ მწყერჩიტები, დროგამოშვებით იძახდნენ თვით მწყერებიც _ ქვიტ-კირო! ქვიტ-კირო! ღ! ღ! ღ! _ ავლევდით იმ აღმართსაც და გაჩერდებოდა ბებია, _ წმინდაო მარინევ, მოვიდა ჩემი ბიჭი და მოგგვარა წითელი მამალი, მიგვიღე და შეიწირე ჩვენგან შეთქმული! _ სამჯერ შემოუვლიდა პირჯვრის წერით ეკლესიის ნანგრევს ირგვლივ, უვლიდა და თან კედლებს კოცნიდა, მეც ასე მიმიყოლებდა, მეც ვკოცნიდი კედლის ქვებს, გოგიაც კოცნიდა. ო, დღემდე მახსოვს, რა კარგი სუნი და გემო ჰქონდა იმ ქვებს! მერე შიგნით, პატარა გამურულ ნიშში დავანთებდით სანთლებს. ბებია აქაც ილოცებდა, მისცემდა დანას გოგიას, გოგია კედლების გარეთ, მწვანეზე, ფეხებს გაუხსნიდა მამალს, დაადგამდა ფეხს ამოკეცილ ფრთებზე, დაადებდა დანას კისერზე და ცოტაოდენი ჯაჯგურის მერე მაღლა ასწევდა მოკვეთილ

თავს. საცოდავად ხტოდა უთავო მამალი. გოგია დანის წვერით ირგვლივ წრეს შემოუხაზავდა, მამალი გაყუჩდებოდა. ცოტა ხანში, მთლად გაყუჩებულს, ფეხებსაც დასჭრიდა, თავ-ფეხს იქვე ნანგრევების შესასვლელთან დავტოვებდით და ჩვენ დაბლა ჩავდიოდით იფნებთან.

იფნებთან ცეცხლები იყო ნანთები. ხმელი ფიჩხებიც ბლომად ეყარა. დავანთებდით ცეცხლს, გოგია ქვაბით წყალს ამოარბენინებდა ხევიდან, დავდგამდით იმ ქვაბს ცეცხლზე, ბებია მამალს დაუტრიალდებოდა, მე და გოგია კი უკვე თავისუფლები ვიყავით. გოგია წამიძღვებოდა, _ შორს არ წაიყვანო, ბიჭო! _ მოგვძახოდა ბებია, _ არა, არაო! _ მაგრამ გოგიას მაინც შორს მივყავდი. შევიდოდით ტყეწვრილში, ავყვებოდით მთის ბილიკს, ავიდოდით სულ მაღლა, სულ მაღლა და იქ სახეგაბრწყინებული გოგია მომიბრუნდებოდა, _ გაიხედე, გაიხედეო! _ გავიხედებოდი და ლურჯი, ჩამუქებული მთების იქით ცაში აზიდულ თეთრ მწვერვალს დავინახავდი. ხან მთლად სუფთა იყო ის მწვერვალი, ხან ნისლის ფთილა ჰქონდა წამოდებული. გოგია ამბობდა, ვინც მაგ მწვერვალზე ავა, ყველა ნატვრა აუსრულდებაო. ნატვრის ასრულება კარგი იყო, მაგრამ ვინ მივიდოდა, ჯერ მარტო მწვერვალამდე ათობით მთა იყო გადასავლელი. _ უუხო! _ გულზე იცემდა გოგია ხელს, _ თუ ბიჭი ვარ, ავალ, როცა იქნებაო. ცოტა ხანსაც შევყურებდით მწვერვალს და წამოვიდოდით როგორღაც ტკბილად დანაღვლიანებულები. გოგია ტყეში საამო სუნის შროშანებს დამიკრეფდა. მოგვესმოდა ბებიას ძახილიც: _ სადა ხართ, ბიჭო, სადაო! _ ჩავიდოდით, შროშანებს ბებიას მივართმევდი, ბებია გაიხარებდა და მეტყოდა, _ ადი და, სადაც სანთლები დავანთეთ, იქ მიაწყეო. ავიდოდი, მივაწყობდი. იმ გამურულ ნიშში უფრო ლამაზები ჩანდა შროშანები.

ამასობაში კი მამალიც მოიხარშებოდა. ბებია გოგიას სთხოვდა, _ გადადექ, შვილო, გოგი, ქვემოთ მენახირეები არიან, დაუძახე, ამოვიდნენ, ღვინო დაგვილიონო. _ გადადგებოდა კორტოხზე გოგია, _ ივანე!.. იაკოფ!.. იაკოფ!.. ივანე!.. _ იძახდა პირზე ხელებშემოწყობილი. _ ჰოუ! ჰოუ! _ დაეხმაურებოდნენ მენახირეებიც. _ ცოტა ხანს ამოდით, დაგვლოცეთო! _ ამოვალთ, ამოვალთო! _ და ცოტა ხანში, მართლაც, ამოვიდოდნენ _ გაბურძგნილები, შავები, გახუნებულები, მარტო კბილებქათქათანი. _ თქვენა ხართ, ხალხოო! შეგეწიოთ, შეგეწიოთო! _ ხრიოკ სახრეებს ბუჩქებზე მიაყუდებდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და დასხდებოდნენ. ბებია მე მამლის ღვიძლს მიწვავდა ნაღვერდლებზე. მენახირეები მეხუმრებოდნენ, _ შენ უფრო დიდი მამაძაღლი ხარ თუ გოგიაო. მე მორცხვად ვიცინოდი, ბებია მამალს მათლაფაზე გადმოიღებდა, მენახირეებს მიაწვდიდა, _ თქვენ დაჭერით, კაცმა უნდა დაჭრას, მადლიაო. მენახირეები თავიანთ მოკაუჭებულ დანებს ამოაჩენდნენ, დაჭრიდნენ მამალს, გაიოცებდნენ, _ ეს რამოდენა ხორცი დაყარა, კაცოო! _ ბებია დაუსხამდა ჭიქებში ღვინოსაც. მენახირეები დაილოცებოდნენ, _ შეიწიროს თქვენი შესაწირავი წმინდა მარინემო! _ მეც მომაწვდიდნენ ჭიქას, _ შენცა თქვი, შვილო, შენც შეეხვეწე მარინესო! _ მათქმევინებდნენ, _ წმინდა მარინევ, შენ გამზარდე დიდი ბიჭი, მშობლები მიცოცხლეო. _ ამინ, ამინო! _ ცოტა ღვინოსაც დამალევინებდნენ. ისე მადიანად ვილუკმებოდით ყველანი, მალე აღარც ხორცი იყო და აღარც პური. მენახირეები ბოლო ჭიქა ღვინოსაც ჩამოსწურავდნენ, _ აი, აგაშენოთ, აი, გაგახაროთ, დიდი მადლობელიო! _ წამოდგებოდნენ და წავიდოდნენ სახრეების ბჯენით. ბებია იქაურობის მოსუფთავებას შეუდგებოდა. მე და გოგია ჩავირბენდით ხევში, მუჭებით დავლევდით იქ ჟრჟოლით მიმავალ წყალს. ბებია ერთხელაც მიგვიყვანდა ეკლესიასთან, კედელზე კოცნით გამოეთხოვებოდა, მეც მაკოცნინებდა და წამოვიდოდით.

მზე უკვე დახრილი იყო, მაგრამ მაინც ცხელოდა, იმ სიცხეში ტყის პირებს გაფენოდა ნახირი. მიჰკიოდნენ მენახირეები: ჰეე, ჰეჰ! _ თავში მზე არ ჩაგივარდესო, _ თავის თეთრ ხილაბანდს მუშა კაცსავით წამაკრავდა თავზე ბებია. თავქვე ვერ ვითმენდით, გავრბოდით მე და გოგია. უკან ვიტოვებდით ბებიას, მერე ვუცდიდით, ვენახებში სულ ერთად მივდიოდით. ვინც კი ვენახებში იყო და დაგვინახავდა, დაგვიძახებდა: _ სადა ჰყოფილხართ, სადაო? რომ ვეტყოდით, სადაც ვიყავით, ხელს მაღლა ასწევდნენ, შეგეწიოთ, შეგეწიოთო!.. _ ჯერ ისევ მზიურ ჩავიდოდით შინ.

დედა ამრეზილი დაგვხვდებოდა. მამა ხომ, პარტიული კაცი, გაუცეცხლდებოდა ბებიას, _ როდემდე არ დაანებებ შენ მაგისთანა რამეებს თავსაო! _ ბებია თვალს არიდებდა. არაფერს ამბობდა. მე დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი, ტახტისკენ მივიწევდი. _ აიო, აიო! _ თავის ქნევით იმუქრებოდა მამა, _ ცუდად რომ გახდეს ეს ბიჭი, არ ვიცი, რას ვიზამო! _ არ გახდება ცუდადო, _ იმედი ჰქონდა ბებიას.

და, მართლაც, ცუდად არ ვხდებოდი. გავიღვიძებდი მეორე დღეს და მერცხალივით ხალისიანად ვიყავი, სულ კი წმინდა მარინეს ნანგრევის ქვების სუნი მომდიოდა, იმ ქვების გემოსაც ვგრძნობდი.

ახლაც ვგრძნობ იმ სუნსა და გემოს, ორმოცდაათი წლის შემდეგ. გოგია ომში დაიღუპა, დიდი რომ გავხდი, მე ავედი თეთრ მწვერვალზე, მაგრამ რაც კი ვინატრე, არაფერი ამსრულებია. ის კი არა, წმინდა მარინეში წასვლას ვნატრობ ხოლმე და იმ ნატვრასაც ვერ ვისრულებ. მეჩვენება, რომ ვეება საათის ისრებზე მაქვს ფეხები მიბმული, ის ისრები მაბრუნებენ თავიანთ ნებაზე და არ მიშვებენ არსად. დღე კი არ გავა, რომ არ ვიგრძნო ძველი, დახავსებული ქვების სუნი და გემო.